


თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი



1. პროგრამის სახელწოდება - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი

2. სპეციალიზაციის კოდი - 040688

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში - Third level vocational qualification in wall covering works

4. მიზანი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ისი“ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას კედლის დაფარვის სამუშაოების კვალიფიკაციის მიმართულებით.

1. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები: საბაზო განათლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კედლის დაფარვის სამუშაოებში მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გადლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში.

დასაქმების პოზიციას: თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების

(კედელი, ჭერი და სხვ.) მომწყობი; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

3. სტრუქტურა და მოდულები

„მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება N 152/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით“.

კვალიფიკაცია „კედლის დაფარვის სამუშაოები,“ მოიცავს ერთ არჩევით კონცეტრაციას: თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, რომელიც მოიცავს 6 სავალდებულო ზოგად მოდულს ჯამურად 16 კრედიტის ოდენობით, 4 პროფესიულ/დარგობრივ მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით და 7 თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალიზაციის მოდულს ჯამური 35 კრედიტის ოდენობით. კედლის დაფარვის სამუშაოებში მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის“ კონცენტრაციის გავლის შემთხვევაში, პირმა უნდა დააგროვოს - 59 კრედიტი.

კედლის დაფარვის სამუშაოების მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად ქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 59 კრედიტი, არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 74 კრედიტი, რომელთაგან 59 კრედიტს ემატება ქართული ენა A2 (15 კრედიტი)

სწავლება-სწავლების ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 11 თვე;

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 13,5 თვე;

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს „გაცნობითი პრაქტიკის“ სახით. გაცნობითი პრაქტიკის მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა სამშენებლო სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ.

ზოგადი მოდულები				
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება		3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება		3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება		2
4	სამოქალაქო განათლება	საბაზო განათლება		2
5	მეწარმეობა 1	საბაზო განათლება		2
6	უცხოური ენა	საბაზო განათლება		4
ჯამი:				16

პროფესიული/დარგობრივი მოდულები				
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა			1
2	მშენებლობის საფუძვლები			1
3	სამშენებლო ნახაზების კითხვა			3
4	სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება	სამშენებლო ნახაზების კითხვა		3

პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე წინაპირობა	დაშვების კრედიტი
ჯამი:			8

მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია კედლის დაფარვის სამუშაოებში			
არჩევითი მიმართულება/კონცენტრაცია - თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალიზაციის მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	სამშენებლო ნახაზების კითხვა	6
2	კედლის კონსტრუქციის მონტაჟი	სამშენებლო ნახაზების კითხვა	7
3	შეკიდული ჭერებისა და მანსარდის მონტაჟი	ტიხრების კონსტრუქციის მონტაჟი	10
4	ასაწყობი იატაკის მონტაჟი	სამშენებლო ნახაზების კითხვა	4
5	მრუდწირული კონსტრუქციების აგება	შეკიდული ჭერების მონტაჟი	8
ჯამი:			35

4. მისანიჭებელი კვალიფიკაციის აღწერა - სწავლის შედეგები

სწავლის შედეგები თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟისათვის:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
3. წაიკითხოს/გაარჩიოს სამშენებლო ნახაზები ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად;
4. შეასრულოს სადემონტაჟო სამუშაოები კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;

5. უზრუნველყოს სამშენებლო მასალების შენარჩუნება მეორეული გამოყენებისათვის
6. შეასრულოს თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები ტექნოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით;
7. შეაფასოს სხვადასხვა ზედაპირები, დამუშავება და შეღებვა უსაფრთხოების ნორმების, სამუშაო პროცესების ტექნოლოგიური თანმიმდევრობისა და ვადების დაცვით;
8. შეასრულოს ექსტერიერსა და ინტერიერში თბოსაიზოლაციო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები;
9. მოაწყოს/შექმნას ჭერის, კედლის კუთხეებზე, ჭადის, კარისა და ფანჯრების გარშემო დეკორაციები;
10. ინტერიერში გააკრას შპალერი

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

საზოგადოებრივმა კოლეჯმა „აისი“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შეიმუშავა დამოუკიდებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟის სპეციალიზაციის შესაბამისად.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.